

გლობალური გეოპარკის შექმნის პოტენციალის შესწავლა
სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების
კონტექსტში

ამირანი გოგატიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების
ტექნოლოგიებში მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზურაბ ჯანელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში გლობალური გეოპარკის შექმნის შესაძლებლობის შესწავლას. კვლევაში ერთის მხრივ, დეტალურად იქნება მოკვლეული სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის პოტენციალი, ყველა იმ ძირითადი პარამეტრების და სტანდარტის დაცვით, რაც აუცილებელია გლობალური გეოპარკის შესაქმნელად. მეორეს მხრივ, კი კვლევაში წარმოვადგენ გლობალური გეოპარკის არს, სტრუქტურას, მნიშვნელობას და ფუნქციონირების პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური გეოპარკი თავის საწყისებს 1990 - იანი წლებიდან იღებს, ის ამავდროულად ახალია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის. საქართველოში და ზოგადად კავკასიის რეგიონში მსგავსი სახის პარკი არ არის შექმნილი. საქართველოში გლობალური გეოპარკის შექმნა აქტუალურ საკითხად მიმაჩნია, რადგან გლობალური გეოპარკი ერთიანი, ჰოლისტური მიდგომით იმართება, რაც საკმაოდ აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ის ხელს უწყობს გეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ისტორიულ - კულტურული ძეგლების დაცვას და ამ დაცვის პრინციპით ახდენს მის პოპულარიზაციას. გლობალური გეოპარკის შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას, ის გეოტურიზმის უმთავარეს ობიექტს წარმოადგენს, და რაც მთავარია ის ამაღლებს ცნობიერებას გარემოსა და მისი ძირითადი გამოწვევების შესახებ. გლობალური გეოპარკის მოსაწყობად, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი რესურსები მსგავსი მასშტაბური ტიპის პარკის შესაქმნელად. აღნიშნულ კვლევაში, კვლევის მეთოდებად გამოყენებულია: კარტოგრაფიული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, მეორადი წყაროების ანალიზი, შედარებითი გეოგრაფიული მეთოდი.